ოქმი:**ო12. 3724082001**

თარიღი:**22/03/2024**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 20 მარტი
ქ.ოზურგეთი
13.00-13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. ჭანიშვილი, ნ. ღაჟონია, ბ. მელუა, ე. გორდელაძე, ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასფინანსებელი პროექტების განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: დავით გორდელაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2023 წელს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სამედიცინო ამბულატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები ქვეყნაში ხორციელდება რამდენიმე წლის მანძილზე, მიმდინარე წელსაც, მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე, გამოიკვეთა პრიორიტეტული პროექტები, ძირითადად შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაემატა შესაბამისი თანხები, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. შემდეგ კონკრეტულად გააცნო ისინი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით,

უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა დ. გორდელაძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა შესყიდვების გეგმის შესრულებაზე(52 მილიონი ლარი), ჩატარებულ ტენდერებზე, გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, შემდეგ ისაუბრა კონკრეტულ შესყიდვებზე, განაცხადა, რომ სულ გამოცხადდა 120 ელექტრონული ტენდერი, აქედან 19 ჩავარდა და ჩატარდა განმეორებით. შესყიდვებში გაკეთდა 3 მილიონი ლარის ეკონომია. ისაუბრა განხილულ საჩივრებზე-1 დაკმაყოფილდა, ერთს უარი ეთქვა. უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც ისაუბრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ამ მიზნით გაწეულ მუშაობაზე, აღნიშნა, რომ არსებული ამბულატორიების უმრავლესობა გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში და შემდგომ ა(ა). ი. პ „სამედიცინო ჰოლდინგს“, ნაწილ სოფლებში გამოიყო ფართები სადაც აშენდა ამბულატორიები, ზოგან განხორციელდება ახლის მშენებლობა, უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს,და მხარი დაუჭირეს ინფორმაციის ცნობად მიღებას.

გადაწყვიტეს:

1. სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1,2 საკითხები წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2.კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 3 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი